საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოვანე

იოვანე, დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი. მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან, როდესაც საუბარია მეფის სიქველის შესახებ. სხვა მრავალ ჩამოთვლილ ქველმოქმედებათა შორის ნათქვამია: „რომელთაგანი თვსსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი, ვითარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთა". ი. იხსენიება დავით აღმაშენებლის ანდერძში შიომღვიმისადმი, როგორც „სულიერი ბერი, მოძღვარი ჩემი იოვანე".

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IX–XIII სს., ტ. 1, თბ., 1984.

ლიტ.: გ ო გ ო ლ ა ძ ე ა., დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი, თბ., 2001; ო დ ი შ ვ ი ლ ი ჯ., დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, წგ.: ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევები, თბ., 2010.

მ. ზალდასტანიშვილი